ქალაქ ქუთაისში საუკეთესო „მწვანე ეზო“-ს გამოსავლენად გამოცხადებული კონკურსის „ქუთაისის საუკეთესო მწვანე ეზო“ ჩატარების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კონკურსი „ქუთაისის საუკეთესო მწვანე ეზო“ (შემდგომში – კონკურსი) ტარდება ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით.

2. კონკურსის მიზანია:

- ქალაქში მწვანე სივრცეების განვითარებისა და მოვლის ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა გარემოს დაცვის მიმართულებით;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის წახალისება;
- საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა და პოპულარიზაცია.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის უფლება

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობებს, მათ შორის საერთო სარგებლობის ე.წ. „იტალიურ ეზოებს“;
- ინდივიდუალურ, კერძო სექტორის მიერ მოწყობილ ეზოებს (ცალკე ნომინაციაში).

2. ერთი ეზო კონკურსში მონაწილეობს მხოლოდ ერთი განაცხადით.

3. წინამდებარე წესისა და პირობების დარღვევით მონაწილის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო მასალები კონკურსზე არ განიხილება და შესაბამისად მოხდება მისი დისკვალიფიკაცია.

4. კონკურსის ჩატარების პროცედურები და მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მათ შორის შესაძლო პრეტენზიები, რეგულირდება წინამდებარე საკონკურსო პირობებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 3. კონკურსის ეტაპები

1. კონკურსის ეტაპებია:

- კონკურსის გამოცხადება;
- განაცხადების მიღება;
- წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა/შემოწმება;
- შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა.

2. საჭიროების შემთხვევაში საკონკურსო კომისია უფლებამოსილია მოახდინოს ადგილზე დათვალიერება.

3. საკონკურსო მასალის მომზადება და კონკურსის საქმიანობის წარმოება მოხდება ქართულ ენაზე.

მუხლი 4. კონკურსის ჩატარების ვადები და წარსადგენი დოკუმენტები

1. კონკურსი გამოცხდდება 2026 წლის 12 ივნისს ქალაქ ქუთაისის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

2. საკონკურსო მასალების შემოტანის ბოლო ვადაა 2026 წლის 22 ივნისის 24:00 საათამდე: ელექტრონულად ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე /contact@kutaisi.gov.ge/.

3. საკონკურსო მასალების განხილვა მოხდება 2026 წლის არაუგვიანეს 30 ივნისისა, ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზ. N3-ში მდებარე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაიულ შენობაში.

4. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

- შევსებული განაცხადის ფორმა;
- ეზოს ფოტოები;
- ეზოს მოკლე აღწერა;
- მოსახლეობის ჩართულობის შესახებ ინფორმაცია;
- საჭიროების შემთხვევაში ამხანაგობის კრების გადაწყვეტილება.

მუხლი 5. საკონკურსო კომისია

1. კონკურსში გამარჯვებულს გამოავლენს წინამდებარე ბრძანებით შექმნილი, შვიდი წევრისაგან შემდგარი„საკონკურსო კომისია“.

2. კომისიას ხელმძღვანელობს კომისის თავმჯდომარე.

3. კომისიის შემადგენლობაში გარდა თავმჯდომარისა და წევრებისა, შედის აგრეთვე კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას და კომისიის მდივანი.

4. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ანხორციელებს კომისიის მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს: საკონკურსო მასალების მიღება-დაბრუნებას, მასალების საკონკურსო პირობებთან შესაბამისობის დადგენას, კომისიის მუშაობის ხელშეწყობას და კომისიის ოქმების შედგენას; მათ შორის, კონკურსთან დაკავშირებულ ნებისმირი ტექნიკური საკითხების წარმართვას.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარი მაინც.

6. „საკონკურსო კომისია“, კონკურსთან დაკავშირებით ნებისმიერ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.

7. „საკონკურსო კომისია“ კონკურსის მსვლელობისას მიღებულ თითეულ გადაწყვეტილებას აფიქსირებს ოქმის სახით. ოქმები მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა ნებისმიერ მსურველს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8. „საკონკურსის კომისიის“ წევრებს, მათ შორის მოწვეულ ექსპერტებს უფლება არა აქვთ, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად მიიღონ მონაწილეობა საკონკურსო პროექტების

შემუშავებაში და ვალდებულნი არიან მოახდინონ ინტერესთა კონფლიქტიდან თავის არიდება.

9. „საკონკურსო კომისიის“ გადაწყვეტილება საბოლოოა და არ შეიძლება გადაიხედოს, მათ შორის „კონკურსის დამკვეთის“ მიერ; გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „კონკურსში მონაწილეს“ აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომლითაც სათანადოდ დგინდება, რომ „დამკვეთის“ ან/და საკონკურსო კომისიის ქმედებით კონკურსის ჩატარებისას დაირღვა საკონკურსო პირობები და წესები ან/და შეილახა მისი, როგორც ავტორის უფლებები.

10. საკონკურსო კომისია:

- ამოწმებს წარმოდგენილ განაცხადებს;
- ახორციელებს ეზოების ადგილზე დათვალიერებას;
- აფასებს მონაწილეებს დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით;
- ადგენს ქულათა შემაჯამებელ ოქმს;
- ავლენს გამარჯვებულებს;
- მერს წარუდგენს რეკომენდაციას კონკურსში გამარჯვებულის დაჯილდოების შესახებ.

მუხლი 6. შეფასების წესი და კრიტერიუმები

1. კომისიის მიერ კონკურსში მონაწილეთა შეფასება ხდება ქულათა სისტემით.

2. მაქსიმალური ქულაა 100.

3. შეფასების კრიტერიუმებია:

- გამწვანების ხარისხი და მრავალფეროვნება - 15 ქულა;
- არსებულ გარემოსთან ესთეტიკური და ფუნქციური კავშირი - 15 ქულა;
- ეზოს სისუფთავე და მოვლა - 10 ქულა;
- ადგილობრივ მცხოვრებთა ჩართულობა მოწყობა მოწესრიგების პროცესებში - 10 ქულა;
- ეკოლოგიური ინიციატივები (კომპოსტირება, წვიმის წყლის გამოყენება და სხვა) – 10 ქულა;
- შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემო - 10 ქულა;
- მცირეწლოვან ბავშვთა გასართობი სივრცე - 10 ქულა;
- კეთილმოწყობა და დიზაინი - 10 ქულა;
- ინოვაციური მიდგომები - 10 ქულა.

4. კონკურსში მონაწილეთა შეფასების მიზნით კომისიის თითოეული წევრი ავსებს ინდივიდუალურ შეფასების ფურცელს.

5. საბოლოო ქულა გამოითვლება ყველა შეფასების საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლით.

6. შეფასების შედეგები ფორმდება ოქმით.

მუხლი 7. კონკურსში გამარჯვებული

1. კონკურსში გამოვლინდება:

- I ადგილი – „ქუთაისის საუკეთესო მწვანე ეზო“;
- II ადგილი;
- III ადგილი.

2. კომისია უფლებამოსილია დააწესოს სპეციალური ნომინაციები.
3. გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებით.
4. კონკურსში გამარჯვებულს, ფინანსური მხარდაჭერის მიზნით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოეყოფა თანხა შემდეგი ოდენობით:

- I ადგილი - 2000 (ორი ათასი) ლარი;
- I I ადგილი - 1500 (ათას ხუთასი) ლარი;
- I I I ადგილი - 1000 (ათასი) ლარი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ერემეიშვილი